

# ევროტურნირების ნახევარფინალები



**უფას  
თასი**



**ჩემპიონთა  
ლიგა**



**თასების  
თასი**

გუზინე უფას უტაბ-ბინაში ბაიბარტა ევროპის საკლუბო ტურნირების ნახევარფინალების კენზისება


## აი, ვინ ვის უეგროლება ფინალში გასასვლელად

**უფას თასი:** ინტერი — სპარტაკი • ატლეტიკო — ლაციო (7 და 21 აპრილი).  
**ჩემპიონთა ლიგა:** რეალი — დორტმუნდი • იუვენტუსი — მონაკო (8 და 22 აპრილი).  
**თასების თასი:** ვიინცა — ჩელსი • შტუტგარტი — ლოკომოტივი (9 და 23 აპრილი).

№ 22
(11 171)

21 - 24 მარტი, 1998 წ.      უფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



**საქართველოს  
IX პროფესიული  
ჩემპიონატი  
ფეხბურთში**

**პირველი  
ჯგუფი  
XVII ტური**

დინამო (გორი) - დინამო (თბილისი) 1-2
დინამო (ბთ.) - მალაროელი (ჭიათურა) 3-0
დიდიში (ზუგდიდი) - ლოკომოტივი (თბილისი) 0-2
ბარგვეთი (ზესტაფონი) - სამგურალი (წყალტუბო) 1-2
ენივერსიტეტი (თბილისი) - რუსთავი 1-0
ტორპედო (ქუთაისი) - გურია (ლანჩხუთი) 4-0
სოლხეთი (ფოთი) - სიონი (ბოლნისი) 3-1
გერანი-91 (თბილისი) - ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 2-1

### საგურთირო მდგომარეობა:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
დინამო (თბ.)	17	14	2	1	43-7	39
დინამო (ბთ.)	17	10	5	2	33-11	35
დიდიში	17	11	1	5	26-24	34
სოლხეთი-1913	17	9	3	5	36-17	30
ტორპედო	17	8	6	3	29-16	30
ენივერსიტეტი	17	8	4	5	22-13	28
გერანი-91	17	8	4	5	24-19	23
ლოკომოტივი	17	6	5	6	19-24	23
ვიტ-ჯორჯია	17	5	7	5	18-15	22
დინამო	17	6	2	9	16-25	20
სამგურალი	17	5	3	9	19-33	18
სიონი	17	5	5	7	26-22	15
რუსთავი	17	5	0	12	15-31	15
გურია	17	3	5	9	19-35	14
მალაროელი	17	3	2	12	13-39	11
ბარგვეთი	17	1	4	12	13-40	7



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

### მეორე ჯგუფი XVII ტური

ივრია (ზაზური) — იბერია (სამტრედი) 0-3, კოლხეთი (ზობი) — სამეგრელო (ჩხორწყე) 4-2, შსს აკადემია (თბილისი) — საპოვნელა (თერჯოლა) 7-1, სქური (წალენჯიხა) — თორი (ბორჯომი) 3-0, ასკ (თბილისი) — ფაზისი (ფოთი) 2-0, მერცხალი (ოზურგეთი) — იბერია (ჭაბული) 3-0, ცხინვალი — იმერეთი (ზონი) 7-1, მეშახტე (ტყუბული) — კოდაკო (თბილისი) 3-0.

### გათამაშების ცხრილი:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ	17	15	2	0	59-10	47
იბერია (ს.)	17	12	3	2	40-15	39
ივრია	17	12	2	3	47-18	38
კოლხეთი	17	12	2	3	47-18	38
კოლხეთი	17	11	2	4	36-25	35
ცხინვალი	17	11	0	6	48-24	33
მერცხალი	17	9	1	7	32-29	28
სქური	17	9	1	7	30-36	28
თორი	17	8	3	6	36-27	27
შსს აკადემია	17	9	4	4	45-20	26
ფაზისი	17	7	1	9	29-34	22
მეშახტე	17	6	2	9	27-27	20
სამეგრელო	17	4	2	11	21-45	14
კოდაკო	17	3	1	13	15-39	10
იმერეთი	17	2	1	14	21-69	7
საპოვნელა	17	2	0	15	17-59	6
იბერია (ქ.)	17	3	1	13	19-45	5

შენიშვნა: შსს აკადემიას დაკლებული აქვს 5 ქულა

### როგორ უნდა საქართველოს ჩემპიონატი

#### „გოგრაპილი“ — ჩემპიონატის სენსაცია!

ლიბა, ამ გოგონამ ნამდვილი ფეხბურთის მოახდინა, საქართველოს პირად შემოინათა, რომელიც გუშინ დამარცხდა ლელა მესხის ჩოგბურთის აკადემიის დახურულ კორტებზე. იამ შემთხვევითად სძლია პირველ ნომერს განთავსებულ სოფიკო მანაგაძეს, შემდეგ ნახევარფინალში ასევე სამ ტურში 5/7 6/0 6/4 შესაბამისად განთავსებულ ნატო დოლიძეს და გავიდა ფინალში. ტანადი, მოძრაობა, თავშეკავებული, ძლიერი დარტყმებით უკანა ხელიდან — ასეთია 17 წლის ია ზოზრაშვილი (მწვრთნელი ია კაპარაძე) ტურნირის ნამდვილი აღმოჩენა. მეორე ნახევარფინალში ნინო ესებუამ მხარეს აღნიშნული ციფრების შინაარსს. ნინო მხარის შიდა რგოლში (1-6) ყოველთვის გადაიხაზება მხოლოდ ერთი ციფრი, მეორე რგოლში (7-12) — არაუმეტეს ორისა. მატჩის საბოლოო შედეგი აინიშნება შიდა რგოლის ცენტრის კვადრატში. თუ თქვენ გამოიყენებთ მატჩის საბოლოო ანგარიშს, ამასთან, ორივე რგოლში ზუსტად გადახაზავთ თითო ციფრს, მოიგებთ 25

### ნოღებათა მინიჭება

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა საქართველოს სპორტის დამახარებელი მუშაის წოდება მიანიჭა:

- ალიკო კაბანაძე** — საქართველოს პროფესიული სპორტსაზოგადოება „მეგარდენის“ განყოფილების გამგე;
- უშანგი თეთრაშვილი** — ქ. თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების განყოფილების უფროსი;
- ჭულიტა გიორგაძე** — „მეგარდენის“ ბავშვთა და მოზარდთა ფარეკაობის ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის მწვრთნელი;
- მამია ტულუშ** — საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მძღონობის კათედრის გამგე;
- მირის სახაძე** — ფარეკაობის ფედერაციის გენერალური მდივანი, საერთაშორისო კატეგორიის მსახ;
- ჭუმბერ ხუბუას** — ცენტრალურ სპორტკლუბ „ლოკომოტივის“ განყოფილების გამგე, რბენის მოყვარულთა კლუბ „კუ“-ს პრეზიდენტი;
- კარლო ჩხაიძე** — ქ. თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს ფიზკულტურულ-სპორტული გაერთიანების გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს;
- ჭუმბერ ჩხარტიშვილი** — საერთაშორისო კატეგორიის მსახ ხელბურთში;
- იოსებ ვაშაძე** — ქ. გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სპორტკლუბის თავმჯდომარეს;
- გურამ მებონიას** — წალენჯიხის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, პენსიონერს;
- ვალერი ვაშაძე** — საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის მძღონობის კათედრის დოცენტი, პედაგოგის მეცნიერებათა კანდიდატი;
- ედუარდ ლომთაძე** — „მეგარდენის“ მძღონობის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორს.



**აიკიდო**

შესწავლის მსურველებს ეიფეკო მსპ II კორპუსის სპორტულ დარბაზში. ქაჭკაყაძის № 3 შეკვდივობა ჩატარდება ყოველ დღე 17/30 საათიდან ცნობებისათვის დარეკეთ 64 28 64



საქართველოს დასახარებელი მწვრთნელის წოდება მიანიჭა: აბესლომ წიკლაურს (სამბო), დედოფალ დანიძეს (ფარეკაობა), სერგო ბერძენიშვილს (კრივი, სამივე — თბილისი), ედუარდ კვიციანს (სამბო, ზუგდიდი), ირბეგ ჭიოშვილს (თავისუფალი ჭიდაობა, გორი).

## სიხლუ, როგორ დაწავს 29 აპრილს ვინცა ვინცა ვინცა ვინცა საქართველოს პროფესიული ჩემპიონატი თბილისის „დინამოს“ და „გერანი-91“-ის მხარით

### „2 X 45“-ზე, ანუ ორი საფეხბურთო ტაიმი — ანუ ვინცა ვინცა ვინცა

შემოთავაზებული ბარათის წინა მხარეზე მოხატულია ორი განსხვავებული ზომის რგოლი ციფრებით და ცენტრში მატჩის ანგარიშის ჩანაწერი კვადრატით. უკანა მხარეზე მოცემულია ციფრებით, რომლებიც განმარტავენ ბარათის წინა მხარეს აღნიშნული ციფრების შინაარსს. ნინო მხარის შიდა რგოლში (1-6) ყოველთვის გადაიხაზება მხოლოდ ერთი ციფრი, მეორე რგოლში (7-12) — არაუმეტეს ორისა. მატჩის საბოლოო შედეგი აინიშნება შიდა რგოლის ცენტრის კვადრატში. თუ თქვენ გამოიყენებთ მატჩის საბოლოო ანგარიშს, ამასთან, ორივე რგოლში ზუსტად გადახაზავთ თითო ციფრს, მოიგებთ 25

ლარს, ხოლო თუ მატჩის საბოლოო ანგარიში, პირველ რგოლში ერთი, ხოლო მეორე რგოლში ორი ციფრი გაგიმართლებთ, მიიღებთ — 50 ლარს. შევსებული ბარათი იჭრება ორ ნაწილად: ერთი ნაწილი უნდა ჩააბაროთ გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ (კოსტავას, 14) გაზეთების გამავრცელებელს, ან მოიტანოთ უშუალოდ „ლელოს“ რედაქციაში 28 მარტის 17 საათამდე. ბარათის მეორე ნაწილს თქვენ დაიტოვებთ და წარმოადგენთ მოგების შემთხვევაში. შენიშვნა: გაზეთიდან ამოჭრილი ბარათის ორივე ნაწილში, ასევე წინა და უკანა მხარეს უნდა შემოიხაზოს ერთი და იგივე ციფრები. ამ სიხლესთან დაკავშირებით გთხოვთ მოგვანოდოთ თქვენი შენიშვნები და წინადადებები.





როგორ სრულდება «კანონი სპორტის შესახებ»?

გავუფრთხილეთ პრაზილიანების ავტორიტეტს...

საკითხი იმდენად მწვავე და აქტუალურია, რომ საუბარს ყოველგვარი შესავლის გარეშე გთავაზობთ.

1996 წლის 20 სექტემბერს, ჩვენმა პარლამენტმა მიიღო „საქართველოს კანონი სპორტის შესახებ“, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის ბატონ ე. შევარდნაძის ხელმოწერით გამოქვეყნდა.

კანონის მიღებიდან საკმაოდ დრო გავიდა და გარკვეულწილად მის შედეგებზეც შეიძლება საუბარი.

ძალიან მოკრძალებულად რომ ვთქვათ, კანონის მოთხოვნებიდან ცოტა რამ თუ შესრულდა (!).

უკიდურეს მძიმე მდგომარეობაშია სპორტული ნაგებობები. უიარაღო-უინვენტარო მეტწილად სკოლისა თუ უმაღლესი სასწავლებლების გაყინულ-გათიშულ სპორტულ დარბაზებში თითქმის არაფერი კეთდება.

სახსრობის გამო, სულს ღაფავენ სპორტული კლუბები, რომლებსაც არც საჭირო ინვენტარი აქვთ, არც სპორტული ფორმა და არც შეკრება-შეჯიბრებების ჩატარების საშუალება.

„გაგარაჟებულა“? - გაპარტახებულია დედაქალაქის ერთ დროს კეთილმოწყობილი 300-დე ეზოს სპორტული მოედანი. სანაგვედაა ქვეული 30-მდე საცურაო აუზი. გაქრობის პირამდეა მისული სპორტის მთელი რიგი სახეობები, აღარას ვამბობთ სპორტის ეროვნულ სახეობებზე. კატასტროფულად იზრდება ფიზიკურ განვითარებაში გადახრების ქმნე მოზარდთა რიცხვი. ჯარში განვითარდა დიდი ნაწილი არასრულყოფილია ფიზიკურად.

კანონი გვავალდებს მოსახლეობის გაჯანსაღებაზე ზრუნვაზე, მაგრამ როგორ ან რითი, როდესაც მილიონნახევარს გადაცილებულ დედაქალაქს სპორტის განვითარებაზე და მოსახლეობის გაჯანსაღებაზე ბიუჯეტით ერთ ხელ მოსახლეობს 18-20 თეთრია გათვალისწინებული. ეს თანხაც სანატრელია (!).

სამაგიეროდ, მსოფლიოში პირველ ადგილზე ვართ სიგარეტის მოხმარების მხრივ (!). 14-16 წლის ბიჭების 84, ხოლო გოგონების 71 პროცენტი სიგარეტს ეწევა. საგრძნობლად გაახალგაზრდავდა და დღით დღე მატულობს ნარკომანთა და არასრულწლოვან დამნაშავეთა რიცხვი.

თუ ათეულს არმიღწეულ მამაკაცებში ინფარქტი, ინსულტი და სხვა ათასი უბედურება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

ყოველივე ამას იმიტომ შევასვენებთ, რომ დღეს მოსახლეობის გაჯანსაღების, მოზარდების ქუჩის და შავი სამყაროდან მოწყვეტის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ საშუალებად სპორტი გვესახება. გამოცდილებით ვიცით, რომ სპორტი დაკავებული მოზარდი ნარკომანი არ გახდება და ვერც ქუჩისთვის მოიცილს.

კარგად გვეხმის, რომ ქვეყანაში უამრავი პრობლემა, მაგრამ თუ მართლა გვხურს ერის გაჯანსაღება და ქართული სპორტის დაკარგული ტრადიციების აღდგენა, მოვალეობით ვეწვას და ყველაფერს, მხოლოდ არა ერის ჯანმრთელობას და მომავალი თაობის კეთილდღეობას.

დადგება დრო და საქართველო აყვავდება, ყველას და ყველაფერს ეშველება, მხოლოდ ერთხელ შეწყვეტულ ჯანმრთელობას და მოზარდის შელახულ სულსა და ზნეობას, ძნელადღა.

სამწუხაროდ, სპორტი ბევრს გატანილი გოლი და საინტერესო სახანაობა ჰგონია. ნუ დაგვიწყდებათ, რომ სპორტი პოლიტიკაა, თანაც დიდხანს, სპორტი სოციალური მოვლენაა, იდეური აღზრდის, ხალხზე ზნეობრივი ზემოქმედების, სამშობლოს დაცვის, ერთგულების, თავდადების ჯერ ბოლომდე ამოუცნობი ფენომენია.

ერთი ნუთით წარმოიდგინეთ ოლიმპიური თამაშები, სადაც მსოფლიოს 200-ზე მეტი ქვეყანა იყრის თავს, გამარჯვებულია კვარცხლბუკის უმაღლეს საფეხურზე მდგომი ქართველი, საზეიმოდ უღერს ჩვენი

ქვეყნის ჰიმნი და ყველაზე მაღლა მიიწვევს საქართველოს დროშა, რომელსაც ათეულ ათასობით ადგილზე ფეხზე ამდგარი, ხოლო მილიონობით ტელეეკრანებთან მჯდომი მაყურებელი შეჰყურებს.

ახლა ვინმე დამისახლოს ამაზე დიდი პოლიტიკური აქცია.

სულ ახლახან, ნაგაოს ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვებულ ჩემ პოკეისტებს აეროპორტში 150 ათასამდე გულშემატიკივარი დახვდა (!). ქვეყნის პრემიერ მინისტრი იოზეფ ტროშკივიც შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ქვეყნის გაჭირვების უამს თქვენ ხალხს რწმენა დაუბრუნეთ“.

ბატონებო! კანონმდებლებო და აღმასრულებელი, დავუჯეროთ ჩვენს პრეზიდენტს, რომელსაც ჩვენზე მეტად ესმის სპორტის მნიშვნელობა - „... სპორტი უფრო მკურნალია, სპორტი სახელმწიფოებრივი საქმეა, ჩვენი ქვეყნის სადარბაზო ბარათი და ერის სახეა...“ დავუჯეროთ ჩვენს პრეზიდენტს და მისი მოთხოვნაც შევასრულოთ! თორემ რა გამოდის, ვიღებთ კანონს, რომლის შესრულებას არავინ ფიქრობს და, რაც ყველაზე საკვალაო, არც შესრულებას ითხოვს ვინმე (!).

ბუნა სამარცხვინო არ არის, რომ კლასიკურ ჭიდაობაში 1998 წელს ეროვნული ჩემპიონატი, ჩამონათხოვრებული ფულით ჩატარდა, რომ არა ჩვენი სახელმწიფოებრივი მოჭიდავეების ჯუშბერ დავეიანიძის, გურამ სალარაძის და დავით ციმაკურიძისა და გარკვეულწილად თავდადება, ეს ჩემპიონატი, საერთოდ არ ჩატარდებოდა. ამ შეჯიბრებაზე უსახსრობის გამო გურჯაანის, საგარეჯოსა და რუსთავის გუნდებიც კი ვერ ჩამოვიდნენ (!).

დღეს ყველა იცის როგორ ცხოვრობენ უცხოეთში სპორტის ვარსკვლავები, ჩვენ კი ჩვენს დევგმირ ბიჭებს, რომლებიც სპორტის მსოფლიო ვარსკვლავების ელიტაში შედიან, ვერც დანაპირზე ჯოჯოხის ვაძლევე და წვრთნისა და ცხოვრების ელემენტარულ პირობებზეც ვერ ვუჭვინთ; მაგალითისათვის კრივი მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი გიორგი კანდე-

კაცური კაცობის ანბანს ასწავლის.

ბატონო ფინანსისტებო! ერთი რამ გაიგეთ, გიორგი, უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში რომ ყოფილიყო ის ერთ ნელინადში მართო რეკლამით გახდებოდა მილიონერი, თქვენ კი...

ისევ და ისევ ქვეყნის პარლამენტის მიერ მიღებული კანონიდან ერთ მუხლს შეგასვენებთ: „უმაღლესი რანგის შეჯიბრებებზე გამარჯვებულთა და პრიზიორთა დასაჯილდოებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფს მიზნობრივ სახსრებს...“

უძიძიძის პირობების მიუხედავად, გასულ წელს მსოფლიოს, ევროპის და დიდ საერთაშორისო ჩემპიონატებში მოვიპოვეთ 49 ოქროს, 40 ვერცხლის და 49 ბრინჯაოს მედალი (!). ახლა თქვენ დაიანგარიშეთ, მსოფლიოს ხუთივე კონტინენტზე რამდენჯერ აღუღერდა საქართველოს ჰიმნი და აფრიალდა ეროვნული დროშა? (!).

ერთსავე გეტყვით, იცით თუ არა, თუნდაც ყველაზე უბრალო შეჯიბრებაზე მოპოვებული თუნდაც ბრინჯაოს მედალი ფასი? არა, არ იცით! ესაა წლების განმავლობაში ყოველგვარი მინიერი სიამოვნების უარყოფა, სპარტანული რეჟიმი, თავგანწირვა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და ყოველდღიური შრომადი ვარჯიშით სისხლნარევი ოფლის დენა, სწორად ნახევრად მშინი გაყინულ-გათიშული.

არა, ბატონებო! თქვენ რომ სპორტის ფასი იცოდეთ, მეტ ყურადღებას და გულსხმიერებას გამოიჩენდით და იმას მაინც შეასრულებდით, რაც კანონით გვეალბათ და ირასაც თავად იკანონებთ და ივალდებთ, განა სამარცხვინო არ არის, რომ მსოფლიოს უძლიერესი მოჭიდავეები ელდარი სურტანიძე და დავით პოლოსიანი, საერთაშორისო ტურნირებზე უმწვერთნელოდ, ნასესხები ფულით წავიდნენ (!) და ოქროსა და ბრინჯაოს მედალებით დაბრუნდნენ.

საქართველოდან გადახვენილ სპორტსმენთა რიცხვმა სამიზნა ციფრს გადააჭარბა. რომელი ერთი ჩამოვთვალო, სულ ახლახან ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონმა ლევან კეზევაძემ რუსეთის შეაფარა თავი, ხოლო გორა მინაძემ - საბერძნეთის. ეს ხომ ეროვნული სპორტის ტრაგედიაა! და „ვიზიში“ საქმეს არ ვშველებ, არც ღობუნივით და კეთილი სურვილებით გაკეთდება რამე.

ყოველივე ზემოხსენებულის მიუხედავად, საქართველოში არ იაიან ერისკაცები, ვისაც ნამდვილად ადვლავთ ქართული სპორტი და მოზარდი თაობის მომავალი. მათი მოსწავლეობა ერთდროულად დასაქმება, მათი მამკისალური დატვირთვა მეცადინეობაზე, ღია გაკვეთილებზე სწორედ ამ პრობლემის შესაძლო გადაჭრა იყო დემონსტრირებული.

ვათა ჰქუასელმა, განათლების სხვა მუშაკებმა, უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნეს, როგორც უმწვერთნელოდ გაკვეთილის, ისე მოსწავლეობა მომზადების მაკალი ღონე. მაგრამ დანებებით ითქვა, რომ ახალგაზრდა პედაგოგები არ ესწრებიან ასეთ გაკვეთილებს, ისევ და ისევ ვეტერანმა კოლეგებმა გამოიჩინეს დაინტერესება.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს სკოლის დირექტორის კარგე დათმისების, მისი მოადგილეების ეთერ ლობიძისვილისა და ინგა ლუკვასის იმ ძალისხმევის შესახებ, რასაც ისინი იჩენენ 26-ე სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი.



ზარი "ლელო" №16. 1998 წ. გამოცხადი

მიზეზებს გამოგონება არ უნდა - თავზე საყრდელია, მთავარი, გამოსავალი გამოგონა! მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი საყოველთაო უპასუხისმგებლობას ბოლო მასწინ მოეცება, როცა თბილისისა და მცხეთის რაიონის მიზანძვით, მთელი საქართველო ამოძრავდება. თუმცა, თბილისშიც და მცხეთაშიც ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯები იდგება.

გასულ ზთოშობათს, თბილისის 26-ე საშუალო სკოლაში მიგვიწვიეს ფიზიკურის ღია გაკვეთილებზე. ასეთი გაკვეთილები ადრე საკლებულად ითვლებოდა, სასწავლო გეგმაში შედიოდა და იმდენად გაუბრალებული იყო, მოკვლეობის მოხდის მიზნით უფრო ტარდებოდა. ამიტომ, იმ ძველი მესწავლეთი, სკეპტიკურად ვიყავით განწყობილი. დედაქალაქის განათლების მთავარი სამმართველოს მოსწავლეთა საქალაქო ფიზიკურულ-სპორტული გურთიანების (ცენტრალური დირექტორი ვათა ჰქუასელი), სასახელოდ ვიტყვით, რომ ეს ღონისძიება ახლებურად გაუზარებიათ და უფრო იმისთვის ტარდება, დასაბამი მიეცეს ნოვაციას, სხვაზე ვადაილონ კარგი მაგალითი, ამასთან, არც ნოვატორი პედაგოგის და სკოლის ხელმძღვანელების ამაგი დაჩრეს შეუფასებელი.

მოკლედ ვიტყვით: ის, რაც ენახეთ, ნამდვილად განსაზოგადებელია, სხვაგანაც აუცილებლად უნდა დაინერგოს. მხოლოდ ასეთი გაკვეთილები მისცემენ მოსწავლეებს იმ აუცილებელ უნარ-ჩვევებს, რომელიც ასე საჭიროა ფიზიკური და სულიერი წრთობისათვის. მეშვიდეკლასელებმა ამ გაკვეთილზე ისეთი სამყობრო მომზადება გვიჩვენეს, ისეთი მონაცემები გამოაღიანეს, სამხედრო ოთხიერებს და ჯარისკაცებს შემურდებოდათ. აი, სად ეყრება საფუძველი წვევადავლეთა მომზადებას! ფიზიკურის მასწავლებელს გურამ ბერძენიშვილს გამოუგონია და დარბაზში დაუმონტაჟებია ტრენაჟორი, რომელიც მოზარდებს ფიზიკურ მომზადებაში, განსაკუთრებით ღერძზე ვარჯიშში ეხმარება. ამ გამოგონებისთვის გურამს საავტორო მოწმობაც მიუღია.

ფიზიკურის გაკვეთილის შემდეგი პრობლე-

ლაკიც კმარა. იგი ჭეშმარიტი გმირია იმისათვისაც, რომ საკუთარ სახლში კრივის დარბაზი გახსნა და ასზე მეტ მოზარდს კრივისა და

მაა მოსწავლეთა ერთდროული დასაქმება, მათი მამკისალური დატვირთვა მეცადინეობაზე, ღია გაკვეთილებზე სწორედ ამ პრობლემის შესაძლო გადაჭრა იყო დემონსტრირებული.

ვათა ჰქუასელმა, განათლების სხვა მუშაკებმა, უდიდესი კმაყოფილებით აღნიშნეს, როგორც უმწვერთნელოდ გაკვეთილის, ისე მოსწავლეობა მომზადების მაკალი ღონე. მაგრამ დანებებით ითქვა, რომ ახალგაზრდა პედაგოგები არ ესწრებიან ასეთ გაკვეთილებს, ისევ და ისევ ვეტერანმა კოლეგებმა გამოიჩინეს დაინტერესება.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღინიშნოს სკოლის დირექტორის კარგე დათმისების, მისი მოადგილეების ეთერ ლობიძისვილისა და ინგა ლუკვასის იმ ძალისხმევის შესახებ, რასაც ისინი იჩენენ 26-ე სკოლაში მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისადმი.

მცხეთაში კი მოსწავლეთა სპორტული თამაშები გრძელდება

თბილისის 26-ე სკოლიდან განათლების სამინისტროს წარმომადგენელთან როლანდ აბულაძესთან ერთად, გეზი მცხეთისაკენ ავიდეთ. ურბანულის ხმა ცირკის შენობიდან ქუჩაშიც მოგვცხმა. „იმედის“ ხმა მთელ მცხეთას ესმის“ - ასეთი ლოზუნგიც ჰქონდათ ძველებს და მათი ხმა მარათლაც შორს ისმოდა. „იმედი“ - ეს ძველის საშუალო სკოლის გუნდია, რომელმაც მოსწავლეთა რაიონული თამაშების პროგრამით, „მზარულ სტარტებში“, მუხრანელ თანატოლებს სძლიეს 22:19. თავიდან მუხრანელები დაწინაურდნენ, მერე ძველებმა თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და ბოლო

- ბოლო გოლი მოყვა:
1. კუთხურს;
2. ჯარისკაცს;
3. უმწვერთნელოდ - სათამაშო სიტუაციას;
4. პენალტს;
5. გავა ავტოგოლი;
6. გოლი არ გავა;

- საუნახატოო სიტუაციები:
7. ბურთი მოხვდება კარის ძელს 3-ჯერ და მეტჯერ;
8. ვერ გამოიყენებენ პენალტს;
9. შეცვლიან 3 და მეტ ფეხბურთელს;
10. ნაჩვენები იქნება ყვითელი ბარათი 2-ჯერ და მეტჯერ;
11. მინდვირიდან გაძევება;
12. შეცვლიან თუ არა ბურთს თამაშის დროს.



თ.ბაბრაძე

სპორტი და სახელმწიფო

ამით ვამთავრებთ ბუბლიკაციას სპორტის სახელმწიფო სტატუსისა და დაქვემდებარების შესახებ ევროპის ქვეყნებში (დასაწყისი იხ. „ლელო“ №18,20).

- მოლდოვა - საგარეო ურთიერთობის სამინისტრო
მონაკო - განათლების და ახალგაზრდობის სამინისტრო
პოლანდია - ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და სპორტის სახელმწიფო მდივნის აპარატი
ნორვეგია - კულტურული ურთიერთობის სამინისტრო
პოლონეთი - სპორტის და ტურიზმის სახელმწიფო ადმინისტრაცია
რუმინეთი - ახალგაზრდობისა და სპორტის სამინისტრო
რუსეთი - ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის სახელმწიფო კომიტეტი
სან-მარინო - ტრანსპორტის, ტურიზმის და კავშირურობის სამინისტრო
სლოვაკეთი - განათლების სამინისტრო
შვედეთი - შინაგან საქმეთა სამინისტრო
შვეიცარია - შინაგან საქმეთა დეპარტამენტი
მაკედონია - განათლებისა და ფიზიკური კულტურის სამინისტრო
თურქეთი, უკრაინა - სპორტის და ახალგაზრდობის ურთიერთობის სახელმწიფო მინისტრის აპარატი
დიდი ბრიტანეთი - პასუხისმგებელი მინისტრი სპორტისთვის ეროვნული მეშვეობის დეპარტამენტი.
სეკი-დან მოგაწვიათ თამაზ თმზხამმ









# სამხრეთ აფრიკა გაფანა-გაფანა

ასე ეწოდება სამხრეთაფრიკული რესპუბლიკის ნაკრებს, მეტსახელი კი სრულიად იოლად ითარგმნება: „ჭაბუკები, ჭაბუკები“

სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია ჯერ კიდევ 1892 წელს დაარსდა. თავდაპირველად მისი წევრები ევროპული წარმოშობის სპორტსმენები, ბურები იყვნენ, შემდეგ ფეხბურთი ფერადკანიან მოსახლეობაშიც გავრცელდა. კარგა ხანს იგი საერთაშორისო სარბიელ ჩამოცილებულ იყო ამ ქვეყანაში განხორციელებული აპარტეიდის პოლიტიკის გამო. 1992 წელს სამხრეთ აფრიკის ფეხბურთის ფედერაცია აღადგინეს როგორც ფიფაში, ისე კონტინენტის ფეხბურთის ფედერაციაში. ამ დროიდან მოყოლებული, ნაკრებმა განაახლა გამოსვლები როგორც აფრიკის მასშტაბით, ისე სხვა საერთაშორისო ტურნირებში. მთავარი ყურადღება კი, რა თქმა უნდა, დაეთმო მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებას. ნაკრების გულშემატკივრებს დიდი იმედები ჩაუსახა მისმა დამაჯერებელმა გამარჯვებამ 1996 წელს აფრიკის თასის გათამაშებაში (ეს ფრიად პოპულარული ასპარეზობა ორ წელიწადში ერთხელ ტარდება). ამის შემდეგ რამდენიმე სამხრეთაფრიკელი მოთამაშე ცნობილ ევროპულ კლუბებშიც კი მიიწვიეს. მათგან ყველაზე უფრო დიდი სახელი მარკ ფიშმა მოიპოვა, რომელიც 2 მილიონ დოლარად რომის „ლაციომ“ შეიძინა.

მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში სამხრეთაფრიკელებს ჯერ მაღალის ნაკრებთან მოუხდათ შეხვედრა, რომელიც ორჯერ დაამარცხეს - 1-0 და 3-0. ამის შემდეგ ისინი გაანაწილეს მესამე აფრიკულ შესარჩევ ჯგუფში, სადაც კონგოს, ზამბიისა და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის (ზაირის) ნაკრებები თამაშობდნენ. წინასწარ ითვლებოდა, რომ სამხრეთაფრიკელების მთავარი მეტოქეები იქნებოდნენ კონგოელები. რაც შეეხება კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის (ზაირის) გუნდს, ამ ქვეყანაში მომხდარი შეიარაღებული

## მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი

კონფლიქტის გამო მას საკუთარ მინორზე თამაშის უფლებაც კი არ ჰქონდა. „გაფანა-გაფანა“ ორჯერ დაამარცხა ეს ნაკრები - 1-0, 2-1, ასევე უპირატესობა მოიპოვა ზამბიასთანც - 0-0, 3-0, ხოლო კონგოელბთან ჯერ სტუმრად, მართალია წააგო - 0-2, მაგრამ შინ გაიმარჯვა - 1-0. ამრიგად, მან 6 თამაშიდან 13 ქული მოაგროვა, ბურთების სხვაობით 7-3 და 3 ქულით გასწვრივ მეორე ადგილზე გასულ კონგოელებს. ერთი სიტყვით, სამხრეთაფრიკელები პირველივე ცდით მსოფლიო პირველობის ფინალში მოხვდნენ, რაც მათ მაღალ კლასზე მეტყველებდა.

ამ წარმატებამ სამხრეთ აფრიკაში ნამდვილი ეიფორია გამოიწვია. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კლაივ ბარკერმა ისიც კი განაცხადა, რომ აქამდე მისი ქვეყანა განთქმული იყო დიდი წარმატებით რაგბსა და კრიკეტში, ახლა კი ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების დრო დადგაო. მას, გუნება, ცოტა არ იყოს გაუფუჭა სტუმრად ჩატარებული ორი ამხანაგური მატჩის წაგებამ - ლანსში ფრანგებთან - 1-2, თუმცა ამას კიდევ არა უშავდა რა, შემდეგ კი დიუსელდორფში მძიმე დამარცხებამ - 0-3. ბარკერმა თავი იმით იმართლა, რომ მას სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა.



მასინგა

სრულიად უფერული გამოდგა ნაკრების გამოსვლა საუდის არაბეთში „კონფედერაციის თასზე“. აქ „გაფანა-გაფანამ“ წააგო გაერთიანებული არაბული ემირატებისა (0-1) და ურუგვაის (3-4) ნაკრებებთან და ფრედ (2-2) ითამაშა ჩეხეთთან. ეს უკვე მწვრთნელ ბარკერს აღარ აპატიეს, თვით ბარკე-

რმა კი აი რა განაცხადა: „მე ნაკრებთან მუშაობით ნასიმოვნები ვარ. ყველაფერი მშვენიერი იყო. მაგრამ, რათა ახლა ნაკრების თამაშის დონე ამადღეს, საჭიროა ახალი მწვრთნელი და ახალი იდეები“.

დაიწყო მოლაპარაკებები მთელ რიგ სპეციალისტებთან, მაგრამ, რახან ბურკინა-ფასოში თებერვალში იწყებოდა აფრიკის თასის გათამაშება, ნაკრებს დროებით სათავეში ჩაუყენეს კიდევ ერთი ადგილობრივი მწვრთნელი ჯომ სონო. უნდა ითქვას, რომ კონფედერაციის თასისგან განსხვავებით აფრიკის თასზე სამხრეთაფრიკელები უკვე უკეთ თამაშობდნენ. ისინი გავიდნენ ფინალში, სადაც, აფრიკის უძლიერესი ნაკრების წოდება „გადააბარეს“ ეგვიპტელებს.

ბოლოს და ბოლოს, მოგვარდა ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხიც. იგი გახდა 42 წლის ფრანგი სპეციალისტი ფილიპ ტრუსიე, რომელიც კარგა ხანია აფრიკაში მუშაობს. იყო კოტ დ'ივუარის ნაკრების მწვრთნელი, შემდეგ დიდ წარმატებას მიაღწია ნიგერიის ნაკრებში, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა. აქ მას ძალიან უმადურად მოექცნენ და ბორა მილუტინოვიჩით შეცვალეს. შემდეგ აფრიკის თასის გათამაშებაში იგი მოკლე დროით სათავეში ედგა ბურკინა-ფასოს საკმაოდ სუსტ ნაკრებს, რომელმაც მისთვის მეტად მაღალი, მეოთხე ადგილი დაიკავა. ახლა კი ტრუსიე უკვე მსოფლიო პირველობისთვის „გაფანა-გაფანას“ მომზადებას შეუდგა.

ტრუსიემ ნაკრებში მისვლისას განაცხადა, რომ გააგრძელებს ადრინდელი მწვრთნელების მიერ საბრძოლო შემადგენლობის მიზნით დაწყებულ მუშაობას. იგი ამ მოთამაშეებს კარგა ხანია აკვირებოდა, ნიგერიაში მოღვაწეობის დროს სამხრეთ აფრიკის ნაკრებს კონტინენტზე თავის მთავარ მეტოქედ თვლიდა.

ამჟამად ძირითად მეკარედ ითვლება ლონდონის „ფულჰემში“ მოთამაშე 30 წლის ანდრე არენდსე. იგი იცავდა კარს შესარჩევ თამაშებში და ძალიან კარგადაც. აფრიკის თასზე ყურადღება მიიპყრო ახალგაზრდა, 23 წლის მეკარე ბრაიან ბალიომი, რომელიც ადგილობრივ „კაიზერ ჩიფსში“ გამოდის. მწვრთნელის აზრით, მას კიდევ აქვს ზოგიერთი ნაკლი, რომელთა გამოსწორება, რა თქმა უნდა, შეიძლება. მცველთა ძირითადი კვარტეტი ასე გამოიყურება: რაბუტლა - ფიში - ჯეკსონი - ნიატი. 26 წლის ენდრიუ რაბუტლა საბერძნეთში, სალონიკის პაოკში თამაშობს და კარგი პრესაც აქვს. 23 წლის მარკ ფიში, რომელიც რომის „ლაციოდან“ ინგლისის პრემიერ-ლიგის ლივერპოლის „ბოლტონ უინდერსში“ გადავიდა, საერთოდ ითვლება

ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად აფრიკის კონტინენტზე და ე.წ. „დანარჩენი მსოფლიოს“ ნაკრებშიც კი იყო მიწვეული ბრაზილიელების წინააღმდეგ. ეს უკვე უმაღლესი ატესტაციია. 26 წლის ფილიპ ჯეკსონი, რომელსაც მეტოქის ყველაზე უფრო სახიფათო თავდამსხმელს მიუჩენენ ხოლმე, ადგილობრივ „ორლანდო პაირეტსში“ გამოდის, 29 წლის მცველი დავიდ ნიატი შევიცარის „სენტ-გალენში“.



მარკ ფიში

ტრუსიეს კიდევ ჰყავს რამდენიმე საიტერო მცველი, რომელთაგან ლუკას რადებე, 28 წლისაა, ინგლისში „ლიდს იუნაიტედში“ გამოდის, 17 წლის არონ მოკოენა კი შესაძლოა, მოკლე ხანში ამსტერდამის „აიაქსში“ გადავიდეს. შუა ხაზზე რამდენიმე გამოცდილი ოსტატია. 32 წლის ვეტერანი ჯონ მოშუე საუკეთესო მოთამაშეებად ითვლება. იგი სტამბულის „ფენერბახში“ გამოდის, 20 წლის კუინტონ ფორტუნე მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელაა, 27 წლის ერიკ ტინკლერი - ინგლისის „პრემიერ-ლიგის“ კლუბ „ბარნსლიში“ თამაშობს, 28 წლის პლემან მხალეელ - თურქეთის „კაიზერ-საორში“. მეტად გამოცდილია 30 წლის ჯონ მოტიე („ორლანდო პაირეტსი“). უკვე ცნობილია, ვინ ითამაშებს თავდამსხმელთა წევრობში. 28 წლის ფილიპ მასინგა, რომელიც „ესტრია A“-ში გამოდის „ბარის“ წამყვან ფორვარდად და საერთოდ, იტალიის ჩემპიონატში შესამჩნევ ფიგურად იქცა. ბენედიქტ მაკარტი (ამსტერდამის „აიაქსი“) სულ 20 წლისაა, მაგრამ უკვე ფრიად სახიფათო თავდამსხმელია,

ერთი სიტყვით, ფილიპ ტრუსიე მოთამაშეების ნაკლებობას არ უჩივის. - აფრიკაში ყოველთვის შეიძლება მოთამაშეთა პრობლემის გადაწყვეტა. ისე კი, ფეხბურთის საკითხების თვალსაზრისით ისინი ყოველთვის უჯერებენ მწვრთნელს, მაგრამ ცხოვრობენ ისე, როგორც მოეხსიანებათ. ისინი ვერ გაიგებენ, თუკი ვიტყვით, რომ სასტუმროში ათ საათზე უნდა იყვნენ, აუცილებლად 11 საათზე მოვიდნენ. აფრიკაში დამატ-

რცხებას ძლიერ განიცდიან. ისე კი, ჩემს მუშაობაში არაფერს ვერ ვაკრეფ იმ მოთამაშეებს, რომლებიც მჭირდება. ეს კია, თუ წააგებ, ყოველგვარი ახსნის გარეშე გაგანათავისუფლებენ. რა თქმა უნდა, სამხრეთაფრიკელთათვის მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად მოხვედრა დიდი პატივია, ახლა კი ფინალში გამოსვლის თადარიგის დროც დადგა. საინტერესოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე „გაფანა-გაფანამ“ დაგეგმა სხვებზე მეტი ამხანაგური მატჩების რაოდენობა. სულ უკანასკნელ მომენტში საფრანგეთში გამგზავრებამდე გაიმართება ორი ამხანაგური შეხვედრა: 31 მაისს გენაში ავსტრიელებთან და 3 ივნისს კოპენჰაგენში დანიელებთან. მიმდინარეობს მოლაპარაკება მთელ რიგ გუნდებთან.

სამხრეთაფრიკელები ვერ დაემდურებიან წილისყრის შედეგებს. მათი მეტოქეები არიან საფრანგეთის, დანისისა და საუდის არაბეთის ნაკრებები. 12 ივნისს მარსელის „ველოდრომზე“ „გაფანა-გაფანა“ ფრანგებს ხვდება. - შეიძლება ვილისყრის შედეგები უარესიც ყოფილიყო. მშვენიერია - ჩემს მშობლიურ საფრანგეთის ნაკრებთან უნდა ვითამაშოთ. აქ იმის შესაძლებლობაც შეიძლება, დავამტკიცო, რომ სამსოფლიო ჯეროვნად არ დამაფასეს. გვიანა მეოთხედფინალში გასვლა, შემდეგ კი მოხდეს, რაც მოხდება. შევეცდებით, კიდევ უფრო წინ წაწავსა. ჩვენ მეტოქეებთან ის უპირატესობა გვაქვს, რომ კარგად არაფერს გვიცნობს. როგორც ექსპერტები მიიჩნევენ, სამხრეთაფრიკელებს მართლაც აქვთ წინასწარ ჯგუფში მეორე ადგილისათვის ბრძოლის შესაძლებლობა. ამ მხრივ, ეტყობა, გადაწყვეტი უნდა გამოდგეს 18 ივნისის შეხვედრა ტულუზაში დანიელებთან.

ბივი თორმლი

## „მატრი“: შიფო - ლეიკენსი

ცნობილ ბელგიელ (ტომით იტალიელ) ოსტატ ენცო შიფოს დიდი უთანხმოება შექმნება ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ეორე ლეიკენსთან.

● ენცო, თქვენ ხომ არ ნანობთ, რომ უსიამოვნება მოგივიდათ ლეიკენსთან? ვინა არ გავლდებოდა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის საკითხი?

— ძალიან მაღელვებს. ეს ხომ ჩემი საფეხბურთო კარიერის მშვენიერი დავიერგებება იქნებოდა. უკვე მსოფლიოს სამ ჩემპიონატში ვმონაწილეობდი, ახლანდელი კი მეოთხე იქნება. ფეხბურთის ისტორიაში შეიძლება ათზე მეტი მოთამაშე არც კი იყოს, ვისაც ასეთი შედეგი აქვს. საფრანგეთის შემდეგ ვაპირებდი ნაკრებიდან წასვლას, რადგანაც მშვენიერად მესმის, რომ მეხუთე ჩემპიონატში თამაში აღარ შეიძლება. მინდოდა ნაკრებში ჩემი მრავალწლიანი გამოსვლები ღირსეულად დამესრულებინა, მაგრამ აი რა მოხდა...

● თქვენ ლეიკენსთან მოლაპარაკება სჯობდა. იგი ხომ არ მალავდა, რომ თქვენს თამაშით დაინტერესებული იყო.

— პატარა ბიჭი ხომ არ ვარ, რომ ასე მომიქცნენ, 15 წელი

# FRANCE 98 INFORMATIONS

მაინც ვითამაშობდი ნაკრებში, ბერკერ ვიყავი მისი კაპიტანი. ლეიკენსმა კი დამამცირა, ვილაცა ახალბედების გულსათვის, რომლებიც ეს-ეს არის გამოჩნდნენ ნაკრებში.

● თქვენ არ გეჩრება, რომ ბელგიის ნაკრები მსოფლიო პირველობაზე წარმატებით გამოვა?

— არა მგერა. ეს ნაკრები აშკარად ჩამოუყარდება 80-იანი წლების გუნდს. ახლა მას არა ჰყავს ისეთი მოთამაშეები, როგორიც იყვნენ კულემანსი, გერეტსი, პუფი. მეც ხომ მათ რიცხვს მივყუთუნებოდი. ბელგიაში საფეხბურთო ტრადიციების არარსებობის გამოსწორება ჩვენი ფედერაციის მესვერები სხვა ქვეყნების მოთამაშეებისათვის მოქალაქეობის მიღებით ცდილობენ. ნახეთ, როგორ დამსგავსა ზოოპარკს ჩვენი ქვეყნის ნაკრები. მასში ექს-ბრაზილიელი, ექს-მაროკოელი და კიდევ ღმერთმა იცის, ვინ აღარ თამაშობს.

● ეს-იტალიელი. თქვენ, ალბათ, პირველი ნატურალური უცხოელი იყავით ბელგიის ნაკრებში?

— მეორე. პირველი იყო ესპანელი ხუან ლოსანო, რომელიც ჩემსავით

ბრიუსელის „ანდერლექტში“ გამოდიოდა. ესე იგი, 4 წლით ადრე ჩემს გადმოსვლამდე, მაგრამ ხუანს რაიმე შესამჩნევი კვალი ბელგიის ნაკრებში არ დაუტოვებია.

● თქვენ აპირებდით მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების დატოვებას (შიფო 32 წლისაა), მაგრამ ფეხბურთთან გამოთხოვება ხომ არ გინდოდა?

— ჯერჯერობით არ ვაპირებდი, მაგრამ ახლა შეიძლება გეგმა შევიცვალო. თუკი ჩემი იმედი, ვითამაშო მსოფლიო პირველობაზე, არ გამართლდება, რაღა აზრი აქვს გავრძელებას: მით უმეტეს, რომ არც საკლუბო დონეზეა ჩემი საქმეები მაინცდამაინც კარგად. ისე რომ, დგება დრო ადგილი ახალგაზრდებს დაუვთო.

## 8 ათასი \$. არადა, არ ითავაშება

ნიგერიის ნაკრების მოთამაშეები თითო მატჩში მონაწილეობისათვის 8 ათას დოლარს მოითხოვენ. ქვეყნის სამხედრო მთავრობა არ ეთანხმება მათ და 6 ათას დოლარს სთავაზობს.

მოლაპარაკება კარგა ხანია მიდის, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანს — მხარეები არ თმობენ. ნაკრების ფეხბურთელებს განსაკუთრებული თანხა უნდათ იმ შემთხვევაში, თუ მერვედფინალში გავლენ. მთავრობა არც ამზე თანხმდება და ლევიდება დიდი უპიყუთილება.

## აველანეი ინგლისელს პიირდაა

ფიფას პრეზიდენტი ეოაო აველანეი შეხვდა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლეირს. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის ორგანიზატორის შერჩევაში იგი აუცილებლად ინგლისელების კანდიდატურას დაუჭერს მხარს (ორგანიზატორის ვინაობა კი 2000 წლის ივნისში უნდა გამოცხადდეს).

აი, რა თქვა აველანეი: — სწორედ ამ ქვეყანაში დაიბადა ყველა დროისა და ხალხის უმშვენიერესი თამაში, სწორედ აქ განვითარდა, ჩამოყალიბდა წესები. ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატი უკანასკნელად 1966 წელს ჩატარდა, გერმანიაში კი

(რომელიც ახლა ინგლისელების მთავარი კონკურენტი) — 1974 წელს. ისე რომ, ინგლისელების რიგია.

აველანეის განცხადებამ გაცივება გამოიწვია, რადგან ჩემპიონატის გამართვა სამხრეთაფრიკელებსა და ბრაზილიელებსაც სურთ. ფიფას პრეზიდენტი სიმპათიით ეკვივება აფრიკულ ფეხბურთს, თვით კი, როგორც ცნობილია, ბრაზილიელია, და, გამოდის, რომ საკუთარი ქვეყნის ინტერესებს უპირისპირდება.

## რას იზავენ. პალი აილანს

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის ადრე მატერიალურად არ უშობდა, მაგრამ ახლა, ეტყობა, მთელი დრო დაუღდა. ასეა თუ ისე, ახლა ნაკრების მოთამაშეების ინტერესი უნდა დაემათავებინათ. ამიტომ ბულგარელებმა „ლიოჩე ბანკსგან“ 1,5 მილიონი მარკა (822 ათასი დოლარი) ისესხეს, თავიდან კი „პუშას“ კომპანია დაუღდა.

— ჩვენ მოთამაშეების გავლენის ქვეშ არა ვართ, მაგრამ გვინდა პატიოსანი ვიყოთ, არ შევეშალოთ ხელი ნაკრების მზადებას მსოფლიო პირველობისათვის — განაცხადა ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა მიხაილ კასაბოვამ — ამ ფულს „ლიოჩე ბანკს“ მაშინ დაუბრუნებთ, როცა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისათვის განკუთვნილ ჰონორარს მივიღებთ.



# FRANCE 98 INFORMATIONS

## ფინალისთვის მორიგი რეპეტიციისათვის ემზადებიან

მომავალ ოთხშაბათს, 25 მარტს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისთვის მორიგი რეპეტიციის გაკვირვება. ბრიუსელში ბელგიელები ნორვეგიელებს მიიღებენ. სკანდინავიელთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა გუნდში შემდეგ ფეხბურთელებს უხმო: **მეკარეები** — გილი (დუისბურგი), გრადასი (ტოტენჰემი); **მცველები** — ბერგი და იონსენი (ორივე — მანჩესტერ სიტი); ჰალე (ლიდსი), ჰოვტენი (რუსენბორგი), სკამლსრუდი (ბაიერი); **საფეხბურთელები** — ლენარდსენი (ლოფორბული), რუდი (შეფილდი), სოლბაკენი

(ოლბორგი), ჰაერდ ფლო (ვერდერი); თავდასხმელები — ტორე ანდრე ფლო (ჩელსი), რისეთი (ლინცი), სოლსკიერი (მანჩ. იუნაიტედი), სტრანი (რუსენბორგი), ოსტენსტალი (საუთჰემპტონი). ბერნში შვეიცარიელები ინგლისელებს უმასპინძლებენ. აღსანიშნავია, რომ ალბიონელთა გუნდის მწვრთნელ გლენ ჰოდლის ამ მატჩისათვის 26 შერჩეულთა შორის არაა კირვეული ნახევარცენტრი პოლ გასკონი. სამაგიეროდ, ნაკრებში კვლავ გამოჩნდა ვეტერანი პოლ მერსონი, რომელიც „მიდლსბროს“ წამყვან ფიგურად იქცა.

## მათ საფრანგეთში ვინილაკთ

### 11 მოთამაშე გვყავს, 11-საც გამოვავლენთ

ასეთი განცხადება გააკეთა კოლუმბიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ერნან დარიო გომესმა. იმ 11 მოთამაშის გარდა, რომლებიც სრული გარანტიით ითამაშებენ მსოფლიო ჩემპიონატში, დანარჩენი 11 მომდევნო ამხანაგურ მატჩში გამოვლინდება. გასაგებია, ჩემპიონატში ითამაშებს კოლუმბიური ფეხბურთის ორი უპირველესი ვარსკვლავი. ფალსტინო ასპირილია და კარლოს ვალდერამა. მწვრთნელმა სამი მეკარეც დაასახელა: ოსკარ კორდობა, ფარიდ მონდრაგონი და მიგელ კალერო, მცველები ხორხე ბერმუდესი და ივან რამირო, ნახევარმცველები ფრედი რინკონი, მარსილიო სერნა და პაროლდ ლოზანო, აგრეთვე, თავდასხმელები ანტონი დე ავილა.

## ჯალმინია: არ მახშირია კონკურენსიის

„დეპორტივოს“ ნახევარმცველი ჯალმინია ბრაზილიის ნაკრების ყოფილი წევრის ჯალმა დიასის ვაჟი და კარლოს ალბერტოს დისწულია. ნაკრებში პირველად წელიწადნახევრის უკან ითამაშა ლიტველთა წინააღმდეგ. მას საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე გამგზავრების იმედი აქვს. ამას წინათ იტერვიუ მისცა **Football-ს**.

დაიბადა 1970 წლის 9 დეკემბერს, სან-პაულუში  
კლუბები: ფლამენგო, გუარანი, პალმეირასი, გრამპუს ეითი (იპონია), დეპორტივო  
● რატომ მოხვდით მინცლამინც „დეპორტივოში“?  
— ყოველთვის მინდოდა ნაცნობ გარემოში მოხედრა. აქ ბევრი ბრაზილიელი თამაშობს. შემეძლო „როში“ გადასვლა.  
● იქამდე კი ნახევარი სეზონი ია-



ჯალმინია (№ 9)

პონიაში გაატარეთ, იქაც ბევრი თანამემამულე გახლათ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მხოლოდ 27 წლის ხართ, უცნაურია — „ჩვილი-ვაში“ ხომ მხოლოდ ვეტერანები მითიან?  
— სამაგიეროდ, სარფინი კონტრაქტი გავაფორმე, გამოგიტყდებით, არა ვარ ის მოთამაშე, რომელიც მხოლოდ თავის წარმოჩენას ცდილობს. ყოველთვის ფეხბურთის თვისუფალ ცხოვრებას. ლა-კორუნიაში ჩემი გზა ვიპოვე.  
● რა წარმოადგენს გაცემ „დეპორტივოზე“?  
— მეტს ველოდი. როცა ჩამოვედი, მიხარეს, რომ გუნდის პროგრამა-მინიმუმი უფროს თასის მეოთხედღინაში გასვლა და ესპანეთში ხუთეულში დამკვიდრება იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ „დეპორტი“ კრიზისში იმ-


ყოფებოდა გუნდის შემადგენლობას ცუდი არაფერი ეთქმის. აი, შეიკამაშება და ბოლომდე ბრძოლის უნარი გვაკლია.  
● წელს „დეპორს“ ბევრი „მოხელა“ პრესაში და ტელევიზიაში. პირადად შენც არა ხარ კეთილი ფრაზებით მოხსენიებული.  
— ვერ ვიტყვი, რომ ამის ღირსები არა ვართ. თუმცა ყველაზე ცოტას მე მაკრიტიკებენ.  
● რა არის შენი საუკეთესო თვისება?  
— ყოველთვის მინდა გამარჯვებული ვიყო. მიხარია, თუ ყურადღების ცენტრში ვარ. წარუმატებლობას ვერ ვურიგებ.

● ფლა ფეხბურთის ჰეჯი არ რაი შენთვისაც არ იქნება უცხო...  
— რომარიო უდიდესი ფეხბურთელია. ალტაბუელი ვარ მისი თამაშითა და გოლეებით. მასთან ბედნიერება თამაში. ჩემი აზრით, რომარიო ასევე საუკეთესოა მსოფლიოში.  
● ესპანელი მოთამაშეებიდან ვინ მოგწონს?  
— ლუის ერრიკე, ივან დე ლა პენია, ალფონსო და ჩემი თანაგუნდელი ფრანი.  
● რა არ მოგწონს ესპანეთში?  
— პლატების ნაკლებობა. ისეთი როგორც რიოშია. პო, კიდევ, მსაჯები, ძალიან მაკარად იქცევიან.  
● ერთგულ ნაკრებში შენს პოზიციასზე დიდი კონკურენციაა. თუ თამაშს არ მოუმატე, ალბათ, ზაგალოს მხედველობის არეში ვერ მოხვდები.  
— მართალია. ბრაზილიას ჰყავს ლენარდო, რივალდო, დენისონი, ეუზინიო, ზინიო და ბერი ნიჟერი ნახევარმცველი, მაგრამ არ მემინია კონკურენციის. პირიქით, მინდა, რომ ამ ფეხბურთელებზე კარგად ვითამაშო. მჭერა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრები.

● ესპანელი მოთამაშეებიდან ვინ მოგწონს?  
— ლუის ერრიკე, ივან დე ლა პენია, ალფონსო და ჩემი თანაგუნდელი ფრანი.  
● რა არ მოგწონს ესპანეთში?  
— პლატების ნაკლებობა. ისეთი როგორც რიოშია. პო, კიდევ, მსაჯები, ძალიან მაკარად იქცევიან.  
● ერთგულ ნაკრებში შენს პოზიციასზე დიდი კონკურენციაა. თუ თამაშს არ მოუმატე, ალბათ, ზაგალოს მხედველობის არეში ვერ მოხვდები.  
— მართალია. ბრაზილიას ჰყავს ლენარდო, რივალდო, დენისონი, ეუზინიო, ზინიო და ბერი ნიჟერი ნახევარმცველი, მაგრამ არ მემინია კონკურენციის. პირიქით, მინდა, რომ ამ ფეხბურთელებზე კარგად ვითამაშო. მჭერა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავემგზავრები.

# სოსა გვარდიოლა: აპენინელები მსოფლიო ჩემპიონები გახდებიან

მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტთა შორის წშირად ესპანეთის ნაკრებსაც ასახელებენ. ბოლო წლებში ჰავიერ კლემენტეს გუნდმა, შესაძინებელა გააუმჯობესა თამაში — მშვენივრად განვლო შესარჩევი ციკლი და ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა საფრანგეთის საგზური. ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის ნაკრებში წამყვან ფიგურად იქცა „ბარსელონას“ 27 წლის ნახევარმცველი ხ(რ)სმპ ბმარდიოლა. ამ ბრძოლაში გამოიჩინა დისპეტჩერის საფრანგეთშიც ვინილავთ, თუ, რასაკვირველია, ტრავმებმა ხელი არ შეუშალა. ახლაც იგი უმოქმედოდაა და მხოლოდ აპრილში თუ გავა მინდორზე. ამიტომ ფეხბურთელს სხვა რა დარჩენია — წის სახლში და ვიდრე ტრავმას მოიშუშებს, „არიგებს“ ინტერვიუებს.




სოსე გვარდიოლა

— სანამ საუბარს დავიწვებდეთ, მინდა გითხრათ, რომ ახლობლები მსაჯედღობენ — სულ „ბარსასა“ და ნაკრებზე ლაპარაკობ, ხოლო შენს ადრინდელ ცხოვრებაზე არაფერს ჰყვები. მინდა გითხრათ, რომ დავიბადე სოფელ სანტ-პედროში — კატალონიის დედაქალაქიდან 70 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. ამან კარგი სამსახური გამოიწვია, ვინაიდან სოფელში არც ბევრი მანქანა და შუქნიშანი იყო, არც მოსაფლტებული ქუჩები, ამიტომ ფეხბურთის თამაში იქ უფრო თავისუფლად შეიძლებოდა, ვიდრე ქალაქში და გასაკვირი არაა, მთელ თავისუფალ დროს ბურთს დავეცედი.  
● თქვენს ახლობლებს ფეხბურთთან აქვთ საერთო?  
— რასა ბრძანებთ, მათ სპორტთან არც ახლა, არც მანამდე ხელშეხების წერტილები არ ჰქონიათ. პირველი ვარ, ვინც სერიოზულად მოჰკიდა ხელი სპორტს. ახლა ჩემს ოჯახში ყველა „ბარსას“ გულშემატკივარია.  
● სად სრულყოფით თამაშს?  
— ქუჩაში, მეგობრებთან თამაშში.  
● „ბარსას“ სელექციონერებმა ქუჩიდან ავიყვანეს?  
— არა, ჩემი სოფლის მახლობლად მდებარეობს პატარა პროვინციული ქალაქი მანრესა. ერთხელ, თანაკლასელებმა, რომელიც ადგილობრივ გუნდში გამოდიოდა, სთხოვა მწვრთნელს ჩემზე, უურადღება მიპყვიო. მან ნახა თუ არა ჩემი თამაში, იმთავითვე „მანრესში“ მიმიწვია. ორი-სამი წლის შემდეგ კი „ბარსას“ სელექციონერმა უურადღების არეში მოგვხვდა. აქამდე სულ კატალონურ კლუბში გამოვდივარ.  
● რა იგრძენით, როდესაც ლეგენდარულ კლუბში მოხვდით?  
— ცხადია, ახალგაზრდობთან ადაპტაცია გამოვიტრია. ჩემთან ერთად სხვა ახალწვეულიც ასეთივე მდგომარეობაში იყო — ირგვლივ ამხელა ავტორიტეტები დადიოდნენ, შენ კი ჭერ მთლად ბავშვი ხარ.  
● ალბათ, მშობლები თქვენ საფეხბურთო კარიერისთვის არ გამოადგებდნენ.  
— მათი დიდი სურვილი იყო მესწავლა, მაგრამ შემდეგ ხელი ჩაიჩინეს, ვინაიდან „ბარსელონაში“ კარგი ბერსპექტივები გამოჩნდა. ერთ მშვენიერ დღეს აღმაინა, რომელიც გვარად კრუიფი იყო, ძირითად შემადგენლობასთან სავარჯიშოდ გამომიძახა. ნამდვილ პროფესიონალ ფეხბურთელად თავი 17 წლისამ ვიგრძენი, კრუიფის

● ჩვენ გვეგონა, მეტ საქმე-ბარსელონის ბრაზილიელებით-სთვის უფრო გაიმეტებდით.  
— არავითარ შემთხვევაში. ბრაზილიელები ვირტუოზულად თამაშობენ. მაგონდება 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი: იტალიამ დაჯახა ბრაზილიელები, თუმცა თამაშით ლათინოამერიკელები სჯობდნენ. მახსოვს საფეხბურთო სამყარო შოკში ჩავარდა, უამრავი ხალხი დასტიროდა ბრაზილიელებს. გახსოვთ მათი გვარები: ტონინიო სერუო, ნიკო, ფალკო, სოკრატესი, უუნიორი... ისინი გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდნენ, მაგრამ რას იზამ? იტალია იტალიაა — დიდი გუნდი ფანტასტიური საბრძოლო უნით.  
● ფავორიტთა შორის არ დაგისახელებათ ესპანეთი.  
— ეს შემთხვევითი არაა. ვფიქრობ, ჩვენი ნაკრები ფავორიტთა შორის არ იქნება, ვინაიდან ტრადიციულად ესპანეთს ჭერ არ გაუბრწყინია მსოფლიო ჩემპიონატებში. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდში ბევრი ინიჟერი ოსტატი გვყავს, ესპანეთზე არ ჩავილოდი ფსოსს.  
● რისი ზეობა იქნება საფრანგეთში — დაცვით თუ შემტევით ფეხბურთის?  
— შევეცდებით შემტევი სტილით გავიდეთ ფონს. სწორედ ასეთმა ფეხბურთმა მოგვტანა ბოლოდროინდელი წარმატებები. ესპანეთის ნაკრებისთვის გოლის გატანა არ უნდა იყოს პრობლემა. თუმცა დაცვაზეც ვიზრუნებთ. კარგი დაცვა წარმატების გარანტიაა.  
● რომელი პოზიციის მოთამაშეები განდებიან ჩემპიონატის ვარსკვლავები?  
— ალბათ, მუნდიალის რჩეულ მოთამაშეებად ბომბარდირები განდებიან. ხალხს გოლის გატანა მოსწონს, ამიტომ სწორედ გოლეადორებს ვაძლევ უპირატესობას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საფეხბურთო სპეციალისტებს ნაკლებად ებრძანებათ ღია ფეხბურთი.  
● მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის თქვენი პროგნოზი?  
— ძნელია დანამდვილებით თქვა, მაგრამ ფავორიტების დასახელებას გავეცემა — ბრაზილია, იტალია, გერმანია. აგრეთვე ნუ დაივიწყებთ არგენტინას, ჰოლანდიას. განსაკუთრებით ჰოლანდიელებს გამოვყოფდი. ეს მაღალი საფეხბურთო კულტურის ქვეყანა კარგი ნაკრებით წარსდგება საფრანგეთში.

## სალასი რონალდოს სჯობს?

ოპო, საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მსოფლიოს ბოლო ორი წლის რჩეულს სხვა ფეხბურთელებს ამჯობინებენ. ასე, ჩილურმა გაზეთმა EL MERCIRIO-მ მიუღი ორი გვერდი მიუძღვნა ორი გოლეადორის — ჩილელი მარსელო სალასის და ბრაზილიელი რონალდოს დეტალურ შედარებას. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს უდიდესმა ლათინოამერიკულმა საფეხბურთო ექსპერტებმა. გაიკვია, რომ სალასის ჯამური რეიტინგი 8,9-ს უდრის, რონალდოსი 0,1-ით ნაკლებია. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ჩილელი გულშემატკივრები მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის მეტად ოპტიმისტურად არიან განწყობილი — მარსელო სალასზე ზემოთ თქვით, დაგუმატით ამას ტრავმამოშუშებული ივან სამორანოს მზარდი ოსტატობა და გასაგები გახდება ლათინოამერიკელთა განწყობის საფუძველი. შეგახსენებთ, რომ ბოლო ამხანაგურ მატჩში, რომელიც „უემბლიზე“ გაიმართა, ჩილელებმა ინგლისელებს სძლიეს ანგარიშით 2-0. იმავე გაზეთში დაიბეჭდა ინტერვიუ ივან სამორანოსთან, რომელშიც იგი აფრთხილებს იტალიელთა გუნდის თავკაცს ჩეზარე მალდინის: „მართალია აქვინებზე ვთამაშობ, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ იტალია და ჩილე საფრანგეთი-98-ში მეტოქეები არიან. მალდინი ფრთხილად იყოს — „სკუადრა აძურას“ მრისხანე ძალა დაუპირისპირდება“.



მარსელო სალასი



